**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** თითო-ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხუთი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

პირველი აგვისტოდამ ვიდრე 1878 წლის პირველ იანვრამდინ

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

**ფასი** ხუთი თვის გაზეთისა—4 მან. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

---

უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს აგენტებს, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მომწერლების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც შეიძლება მალე გაასწორონ ანგარიში და ხვედრი ფული გაზეთისა გამოგზავნონ რედაქციაში.

## ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

**ვენა,** 5 აგვისტოს. გაზ. „Neue Freie Presse“-ში სწერენ სამს ავისტოს, რომ სისტოვიდამ ერთი რუსის დივიზია მსწრაფლათ მიშველებია თავ ჯარებს, რომელსაც სულეიმან-ფაშა უპირებდა თურმე დაცემას.

1 აგვისტოს, ელენას და ზაბროვის გამაგრების შემდეგ, სულეიმან-ფაშამ წინ წასწია თავისი ჯარი, რომლის წინა ჯარებსაც რუსის ცხენოსან ჯართან შეტაკება ჰქონია.

რუმინიის ჯარების მესამე დივიზია ჯერ კიდევ არ გარდასულა დუნაიზედაო.—ამბობენ, რომ რუსის ჯარები რუმინიაში იზამთრებენო.

**პარიჟი,** 5 აგვისტოს. მითჰხად-ფაშა პარიჟში მოვიდა, საიდამაც ლონდონში აპირებს წასვლას.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაკ-მაჰონმა ევრეში, მასთან მიმართული სიტყვის მოსმენის შემდეგ, წარმოსთქვა, რომ ის იმდენათ პატივსა სცემს კონსტიტუციას, რომ არ დაარღვევს იმის პრინციპებს.

**ბელგრადი** 5 აგვისტოს. სერბიის კაბინეთის მინისტრებმა დათხოვნის ქაღალდი შეიტანეს. რისტიჩი მინისტრების პრეზიდენტათ დანიშნეს.

**სტამბოლი,** 5 აგვისტოს. სულთანმა გამოსცა ბრძანება, ახალი ნაციონალურგვარდიის შედგენის თაობაზე, რომელშიაც ჩაირიცხებიან ყველა 40-ს წლოვანობამდინ, ვაჟკაცნი რომელთაც კი

## ფელტონი

### შამილის ცხოვრებიდამ

(გეოგრაფიული საზოგადოების კავკაზიელი განყოფილების ცნობებიდამ ამოღებული)

დიდისა და პატარა ჩეჩნის მცხოვრებლები ყოველის მხრით განსაკუთრებულად შევიწროებულნი იყვნენ რუსებისაგან. ამათ გააშენეს ვოზდვიჟენის ციხესიმაგრე და რადგანაც გამაგრებულნ იიყვნენ მათვე მიწა-წყალზე, მუდამ მოსვენებას არ აძლევდნენ იმათ. ამ გვარს მდგომარეობაში მყოფთაჩაჩნებმა გარდაწყვიტეს—ეთხოვნათ შამილისათვის რომ მას საშუალება, შემწეობა მიეცა რუსების მათი სამშობლოდამ გასარეკავათ, თუ არა და ნება მაინც მიეცა—დამორჩილებოდნენ რუსის მმართებლობას.

ასე კი გარდაწყვიტეს, მაგრამ დიდხანს ვერავინ გამოჩნდა იმისთანა გულადი, რომ ეკისრა ეს თხოვნა შამილისათვის, გარდაეცა, რადგან იცოდნენ, რომ მას შამილი ჩაჩნებისაგან სამშობლოს ღალატად იცნობდა და ვაი მაშინ მოციქულების ბრალი. რადგან თავის ნებით გამოსვლა ვერავინ გაბედა, ჰყარეს წილი. წილი ერგო ზუნიბის სოფლის ოთხს მცხოვრებს.

ეს ოთხი კაცი, მიმავალი დარგოს აულისაკენ, სადაც შამილის სასახლე იყო, სულ იმის სჯაში იყვნენ—თუ როგორ აესრულებიათ ეს ამისთანა მინდობილობა ისე, რომ თავათაც ცოცხლები გადარჩენილიყვნენ. ერთმა იმათგანმა—ტეპიმ—სთქვა, რომ იმათი პირდა-პირ მისვლა შამილთან და ამ ამბის გამხელა ყოვლად-შეუძლებელია, რადგან ის-არც კი გაგვათავებინებს ჩვენს თხოვნას, ისე დაგვხოცავს თავის ხელითაო. —„სჯობს მივჰმართოთ შამილის დედის შუამდგომლობას, სთქვა მან. დედას ერთობ დიდი გავლენა აქვს თავის შვილზე. თქვენც გაგეგონებათ, რომ ხშირად დედის მარტოთ-მარტოთ ერთი უბრალო სიტყვაა საჭირო, რომ შამილმა აპატიოს რომელიმე დამნაშავეს სიკვდილით დასჯა.“ მოეწონათ ეს მოსაზრება დანარჩენს სამს ამხანაკსაც და გარდასწყვიტეს კიდეც, რომ ერთი თავიანთთაგანი მეგობრის, დარგოელი მცხოვრების—ხასიმ-მულლას — შემწეობით ემოქმედნათ შამილის დედაზე.

რადგან კარგათ იცოდნენ, რომ დიპლომატიური მოლაპარაკების დროს ფულს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამისათვის თავის მოციქულებს, ყოველ შემთხვევისათვის, გაატანეს რამდენიმე ტომსიკა სავსე ოქროსა და ვერცხლის ფულითა, რომელიც იმათ თაივიანთ შორისვე მოჰკრიფეს.

მოვიდნენ მოციქულები დარგოსში თუ არა, ამ გატანებული ფულიდამ აიღეს ოც-და-ათი თუმანი ოქრო, მისცეს ტეპის და გაგზავნეს იგი ხასიმ მულლასთან.

დანიშნულს დროს და ალაგას შეიყარნენ ტეპი და ხასიმ-მულლა. ტეპი ძიელ შორიდამ მოჰყვა ამბავს და ბოლოს, როგორც იქმნა, იმ საქმესთანაც მიაღწია, რომლისთვისაც ის ოთხი კაცი თავიანთი მემამულეებისაგან გამოგზავნილნი იყვნენ შამილთან. დაწვრილებით უამბო მას საქმის გარემოება და ბოლოს გაუტყდა, რომ მთელი დიდისა და პატარა ჩაჩნისაგან გამოგზავნილნი ოთხი მოციქულნი სთხოვენ მას—წარადგინოს ისინი შამილის დედასთან, რომელმანც

შეეძლებათ თოფ-იარაღის ხმარება.—

სულეიმან-ფაშა მაი-ბაგნაზიდამ (?) ტირნოვოში მიდის. თავის მოქმედების დროს ის მეჰმედ-ფაშის მოქმედებაებით ხელ მძღვალობსო.

**ქურიუქ-დარა** 6 აგვისტოს. ბაშკადეკლარის ბანაკი ხუთი ვერსით წინ წაწეულია და დაბანაკებული იმ ადგილას, სადაც წინეთ ოსმალოს ჯარის ბანაკი იყო. ოსმალოს ჯარის მოსატყუებლად გენ. დეველმა ტნახ იეპესის სიმაგრეს მიადგა იერიშით, საიდამაც მტერმა ცხენოსანი ჯარის ბანაკი გაიყვანა. ზეიმანმა აილო სუბატანი და ხაჯი-ვალი და ბულონნახიდამ მტერიც გარეკა. მარცხენა ფლანგზე გენ. კომაროვმა იაგნის მთებიდგან განდევნა მტერი და ვიზინკევამდინ სდია. ამ სდევაში მტერმა დიდი ზარალი ნახა. წინა ჯარების დაბანაკების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა 4-ს საათზე კულვარანისკენ დაიხიეს და, შემოღამებისას, ისევ ბანაკში დაბრუნდნენ. ჩვენის მხრით-ზარალი ჯერ ცნობაშიდ არ არის მოყვანილი 50 კაცი მოგვიკლეს და 230 დაგვიჭრეს. მეზვერეების შემწეობით ვტყობილობთ, რომ ოსმალებს 1500 კაცი დაუკარგავთ ამ დროს განმაელობაში.

**გორნი-სტუდენი.** 5 აგვისტოს. არტილერიის ჩხუბი 3 აგვისტოს რუსჩუკსა და ქურჟევოს შუა გათავდა იმით, რომ ჩვენმა ატრიადებმა ჩააჩუმეს ოსმალოსისანი. მოგვიკლეს ერთი და დაგვიჭრეს ორი არტილერიისტი.

4-ს აგვისტოს. მოხდა შემდეგი:

1) კალარაშის მარჯვენა მხარეზე, თათრებმა დოლავას წანა ჩვენს ბანაკებს მოაწვნენ, მაგრამ 11-ს საათზედ, დილით უკუდევნილნი იქმნენ, რადგან სამი როტა მოგვეშველა ზარბაზნებით. ამის შემდეგ მტერმა ცხენოსანი ჯარი და არტილერია წამოსწია წინ ბასარდოვის წინაალმდეგ კადიკოსკენ და ოთხი ბატალიონი ქვეითი ჯარითა მარხნით დაგვიარა შეიქნა სროლა და ნაშუადღევის სამ საათზე ოსმალოებმა რუსჩუკისკენ დაიხიეს.—პოლკოვნიკმა ხრესჩატიცკიმ ორის სოტნით ჩერნოვოდამდინ და ენი-ემინამდინ გამოეკიდა და ამ ადგილებიდამ ბაშიბუზუკები და ჩერქეზები გაჰყარა. 5 კაცი მოგვიკლეს და 2რიც მსუბუქათ დაგვიჭრეს.—

2) ოსმან-ბაზარის გზაზედ ჩვენმა ოთხმა როტამ კესარევიდამ ვიდრე ნიშირის ტრილიტამდინ ადგილები დაათვალიერა, მაგრამ რა ნახა რომ წინ ძალი მტრის ძალა ჰყავს, ისევ უკან დაბრუნდა კესარევასკენ. ამ დროს მოგვიკლეს ერთი აფიცერი და 30 სალდათი.

3) ბალკონებში ოსმალოებმა ხანკიონსკის გასავალს იერიშით მიადგნენ, მაგრამ უკან დახეული იქმნენ მილიციის პოლკის შემწეობითა.

# ომის ამბები

## აზიის ბრძოლის ველიდამ

გენერალ აფხაზოვის ატრიადიდამ გაზეთს „ხმაში“ სწერენ: რადგან ოსმალებმა, ჩვენთვის მოულოდნელად, მისცეს შემწეობა აფხაზებს და, ამნაირად, ამათი დამორჩილების განზრახვაც შეიცვალა, ამისათვის გენ. ალხაზოვმა შემდეგის სიტყვებით მიჰმართა მათ:

აფხაზებო! სანამდისინ თქვენ აჯანყებისათვის დასჯილი იქნებოდეთ, მე თქვენთვის საგულისხმოთ და თქვენი სიკეთისათვის გეუბნებით შემდეგს: თქვენი ძალა ერთობ სუსტია, რომ რამე შესანიშნავი წინააღმდეგობა გაგვიწიოთ; კიდევ როდისმე ოსმალებისგან დახმარებაზე იმედი არ უნდა გქონდესთ — იმათ ბევრიც დაგპირდნენ, მაგრამ ძრიელ ცოტა კი აგისრულესთ. ამისთვის გაფთხილებთ დამორჩილდით, დაჰყარეთ გადმოგვეცით იარაღი და ამანათები და მშვიდობიანათ ელოდეთ ხელმწიფე იმპერატორის წყალობას და პატივებას. თქვენგან ამაზე ვარის თქმა იქნება თქვენი ს უ ნ თ ლ ა დ ე რ თ ი ა ნ ა თ ა ო ხ-

უნდა უშუამდგომლოს მათ თავის შვილთან.

ხასიმმა თავდაპირველად ძრიელ არა სანუგეშო პასუხი მისცა მათ, უთხრა, რომ შამილი არ დაჰყაბულდება მათს თხოვნაზე და რომც კი დაჰყაბულდეს დედა მაინც მაგის თქმას ვერ გაუბედავს შვილს და სხვ. მაგრამ ამ დროს ტეპიმ ზედ ფეხებთან, ნოხზედ გადმოუყარა ტომსიკიდამ ბაჯაღლო ოქრო, რომელიც მას ვითომც ჩეჩნებმა გამოუგზავნეს საჩუქრათ და თანაც უთხრა, რომ ორას-ოც-და-ათი თუმანი ოქრო შამილის დედისთვინაც აქვსთ მათ გამოტანებული. ამ სურათის დანახვის შემდეგ ხასიმი ერთბაშათ შეიცვალა, მისმა სახემ ხალისი მეტყველება მიიღო და წინანდელი პასუხიც, რასაკვირველია, სრულიათ შესცვალა.—„მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩეჩნების თხოვნა სრული საფუძვლიანია—უთხრა ხასიმმა ტეპის, და ცოდვა იქნება, რომ თქვენ კაცი არ დაგეხმაროსთ. რატომ, შამილის დედასთან თქვენი მიყვანა ადვილია, მაგრამ იმ პირობით კია, რომ იმ ორას-ოც-და-ათი თუმნიდამ, მას ორასი თუმანი მივართოთ.... ეყოფა.... და ოც-და-ათს თუმანს კი ჩემთვის დავიტოვებ. დარწმუნებული ვარ, რომ თავათ დიდი მაჰმადიც არ იქნება წინააღმდეგი, რომ ჩეჩნები დაემორჩილონ ზიაურებს, მით უფრო, რომ ეს დამორჩილება მათის ნებით კი არა, არამედ მათი გაჭირვებული მდგომარეობიდამ იქნება წარმომდგარი.

ხასიმმა მეორე დღე დაუნიშნა მათ შამილის დედასთან მოსალაპარაკებლად.

დედამ მიიღო მათგან 200 თუმანი ოქრო და თან ის დაპირებაც ჩამოართვათ, რომ, ვინიცობაა მათი მინდობილობა კარგათ შეასრულოს, მაშინ ისინი ერთს ამდენს ოქროს კიდევ მოართმევენ მას. მოციქულები, რასაკვირველია, დიდის ყმაყოფილებით დაჰპირდნენ. ამის შემდეგ დედამ მოუსმინა მათ ჩეჩნების სათხოვარი ამბავი და დაჰპირდა, რომ დღესვე მოახსენებს ყველაფერს შამილს.

დედა ისეთნაირად ჩქარობდა საქმის მალე შესრულებას, რომ აღარ დასდია, შამილს რაღაც საჩქარო საქმისთვის რომ რჩევა ჰქონდა თავის მხლებლებთან და მოითხოვა დაუყონებლივ საიდუმლოთ ნახვა შვილისა. კარგა ნაშუაღამემდინ გაცხარებული ბაასი ჰქონდათ დედასა და შვილს, მაგრამ ამ ბაასს დიდი სანუგეშო შედეგი არ ჰქონია ჩეჩნებისათვის.

„შამილმა თავის-თავად ვერაფერი ვერა გარდაწყვიტა-რა თქვენს თხოვნაზე-უთხრა მოციქულებს დედამ, მაგრამ, ამ საქმეს რომ უფრო კანონიერი მიმართულება მისცემოდა, ის წავიდა მეჩითში, სადაც მანამ იმარხულებს და ილოცებს, სანამ თავათ დიდი მაჰომეტისაგან არ გაიგონებს მის წმინდა ნებას — თუ როგორ მოიქცეს ის ამ ჩეჩნების თხოვნის შესახებ.

შამილი მართლა ჩაიკეტა მეჩითში და დარგოს მცხოვრებლებიც, მისი ბრძანებით უნდა შეკრებილიყვნენ იმ მეჩითის გარშემო და ელოცათ სანამ შამილი იქიდამ არ გამოვიდოდა.

სამს დღესა და სამს ღამეს შამილი ჩაკეტილი იყო. სამს დღესა და სამს ღამესაც ხალხიც არ დაჰძრულა მეჩითის გარშემოდამ და მოუთმენელათ მოელოდა იმამის (შამილის) იქიდამ გამოსვლას. სამი დღის შემდეგ მეჩითის კარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება, რადგან იმწამსვე ვუბრძანებ ჩემს ჯარებს, რომ შეუწყნარებლად ცეცხლი მოსდონ თქვენს ყოფა ცხოვრებას. ერთხელ კიდევ გიმეორებთ: მოიფიქრეთ—რასჩადიხართდადამემორჩილეთ!“

„ამ პროკლამაციის შემდეგ თ. ნიჟარაძესთან მოვიდნენ: სოფ. ზუბიდამ ორმოცდა რვა ოჯახი, სულ 206 კაცი; პოდგედამ ოთხი ოჯახი—16 კაცი, ტყარჩილიდამაც ოთხი ოჯახი—13 კაცი; ეშკეტიდამ ოთხი ოჯახი—13 კაცი, სულ 250 კაცი ორივე სქესისანი. ამათ წარმოადგინეს 8 შტუცერის და ერთი პიბოდის სისტემის თოფი. თანაც დაჰპირდნენ, რომ ამანათებს და სოფ. ზუბის დანარჩენ მცხოვრებლებსაც მოიყვანებენ.—რადგან სოფელი ზუბი ჩვენ ხელში იყო, ეს შემოერთებული აფხაზები იქ დაასახლეს ჩვენი მართებლობის მფარველობის ქვეშ.“ —

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

პლევნასთან ბრძოლის შესახებ აი რას იწერებიან ვენის გაზეთში „Politsche Correspondenz“-იაში. „პლევნასთან ომში რუსების მხრით იყვნენ მეცხრე კორპუსი—სულ 20 ათასი კაცით, მე 30 დივიზია 12 ათასი კაცით, 2 ბრიგადა 32 დივიზიისა 500 კაცით—სულ 28 ათასი კაცი ჰყვანდათ. ოსმალოს მხრით ოსმან-ფაშას ამდღეს ჰყვანდა 30 ათასი კაცი, რომელიც ვიდდინიდამ მოიყვანა და, გარდა ამისა, 15 ათასი კაცი შემოემატა ნიშიდამ, პიროტიდამ და სოფიიდამ—სულ მაშ, 45 ათას კაცამდე. რადგან ოსმალოები ფეხს არ იცვლიდნენ, ამისათვის რუსები დაეცნენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ კიდეც, გაცხარებული ომის შემდეგ, რომლის მსხვერპლათაც რუსების მხრით 5—6 ათასს კაცამდე შეიქნა.—რუსების ამგვარათ დამარცხება, ამდენი კაცის დაკარგვა, რომელმაც ძიელ შეაწუხა მთელი რუსის არმია, მიეწერება მხოლოდ სამხედრო ტაქტიკის უვარგისობას და უხეიროდ ჯარების განწილებას. წარმოიდგინეთ, რომ ის ტაქტიკა სულ კიდევ შტიკებით იერიშზედ მისვლაზე არის დიმყარებული ამ ნაირათ იერიშით გაშვება ჯარისა მტერზედ, რომლის ჯარებიც ახალის, სწრაფი სასროლი თოფებით არიან შეიარაღებული, ტყვილ-უბრალოდ ხალხის დახოცვაა. — მეორე მიზეზიც აი რა იყო: სტრატეგიულას მხრით პლევნასთან რუსებს ისეთი ადგილი ეჭირათ, რომ საუკეთესო მხედართ მთავარიც ვერ ამოარჩევდა ამისთანა ადგილებს.—რუსის ჯარები თუმც შემოზღუდული იყვნენ ოსმან-ფაშის, სულეიმანის და მეჰმედ-ალი ფაშის ჯარებით, მაგრამ, ცოტა მოხერხებასთან, იმათ შეეძლოთ, ჯერ ერთის ჯარი, მერე მეორის და ბოლოს მესამისაც დაემარცხებიათ. მაგრამ, ამის მაგიერ რომ ასე ნაწილ-ნაწილად დაემარცხებიათ მტრის ჯარი, სამივეს ერთად მისდგნენ და, რასაკვირველია, რომ არც ერთი ნაწილის წინაამდეგ სამყოფი ჯარი არ ჰყოლიათ.

—

— ბელიდამ იწერებიან ვენის ერთს გაზეთში: რუსეთის არმიის უმთავრესი კვარტირა აქ იმყოფება, მაგრამ მომქმედი არმიის სარდალი, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, რამდენიმე ვერსით ბელზე, პოზნაში დაბანაკებულა.—გენერალ კრიდნერის ჯარის შესამატებლად ახალი დივიზია (მე 16) გაუგზავნიათ და, როგორც ამბობენ, ამ ცოტა ხანში პლევნაზე ხელახლავ იერეშით მისვლას ეპირებიანო. ლოვჩა ოსმალოებმა ისევ დაიბრუნესო.

—

— „ბირშის საგენტო“ გვაცნობებს სტამბოლიდამ: ოსმალოები კიუსტენჯის აღარ უშენენ ყუმბარებს. ის ჯარები, რომელნიც ოსმალოს მართებლობამ კავკასიიდამ გამოიწერა ყველა დობრუჯაში უნდა შეიყვანონო.—კავკასიიდამ ჯარების გამოყვანის მიზეზი კი, როგორც ამბობენ, ის არისო, რომ აქაურს მაჰმადიანთ მცხოვრებლებში მომხდარა უყმაყოფილება, რომელსაც ცუდი განვლენა ჰქონდა ოსმალოს ჯარების იქ მოქმედებაზეო.

---

ბი უცბათ იღება და გამოდის ფერ-მიხდილი და დაუძლურებული შამილი.

გამოსვლისათანავე მოიხმო ერთი მიურიდთაგანი, მისცა მას რაღაც საიდუმლო ბრძანება, ორიც თან იახლა და ავიდა მეჩითის ბანზე. მეჩითის გარშემო მდგომი ხალხი დიდის სასოებით და მოუთმენელად ელოდა მის ხმის ამოღებას. არ გაუვლია რამდენიმე მინუტს, გაგზავნილმა მიურიდმა მოიყვანა იმამის დედა, რომელიც შვილთან ბანზე ავიდა.

კარგა ხანი შამილი გაჩუმებული იდგა ხალხის წინ და ხალხშიაც წარმოუდგენელი სიჩუმე სუფევდა. ბოლოს თავათ შამილმა დაარღვია ეს სიჩუმე და, ხმის კანკალით, წარმოსთქვა შემდეგი: დიდო წინასწარმეტყველო მაჰომედო! წმინდანი და მტკიცენი არიან შენგან მოღებული ბრძანებაები! აღსრულდეს მართლ მსაჯულობა შენი ალკორანის თაყვანის მცემელთ სამაგალითოდ! „ამის შემდეგ შამილმა ხალხს მოკლეს სიტყვით მიჰმართა, რომელიც ასე დაბოლოვა: მე გამომეცხადა დიდი მაჰომედი და მიბრძანა, რომ ასი მათრახი მივარტყა იმას, რომლის პირიდამაც მე პირველად გავიგონე დიდისა და პატარა ჩეჩნის თხოვნა—„და ვაი, რომ ეს პირველი კაცი დედა ჩემი იყო!“ საბრალო მოხუცებულმა დედამ შემაძრწუნებელი ხმით მოჰყვა ღრიალს, მაგრამ შამილმა, როგორც მტკიცე აღმასრულებელმა ალკორანის და მაჰომედის ყოველგვარი ნებისა, ბრძანა, რომ ამ წამსვე შესდგომოდეენ მაჰომედის ამ ნების აღსრულებასაც.

მოარტყეს მეხუთე მათრახი თუ არა საბრალო მოხუცებელი გარდიქცა. შამილმა რომ ნახა გარდაქცეული დედა შეწუხდა მეტის-მეტად და იქვე, მის ფეხებთან, პირქვე დაემხო.

გარშემო მდგომი, ამ სურათის მაყურებელი ხალხი ძიელ აღელვებული იყო. ბევრი იმათგანი დიდის სასოებით შეჰვედროდა ზეცას, რომ მას დაეხსნა ამ სასჯულისაგან ის ადამიანი, რომელიც იყო მათი კეთილის მყოფელი.

შამილი კარგა ხანი იყო პირქვე დამხობილი თითქო ზეცით რაღაც ბძანებას ელისო. ბოლოს მალხაზათ წარმოსდგა იმამი და ალტაცებულის ხმით მიუბრუნდა ხალხს: „ეს არის ზეცით ხმა მომესმა, რომელმანც მიბრძანა, რომ, იმ ასი მათრახიდამ, დანარჩენი მე მოვირტყა.“ ღიმილით მაიხადა მან თავის ხელით ტანისამოსი, მისცა ორს მიურიდს ხელში დიდი მათრახი და უბრძანა, რომ ოთხმოც და თუთხმეტი მისთვის მოერტყათ. „მაგრამ ვაი, იმის ბრალი ვინც სუსტათ მომარტყამს!—აი, ამ ჩემის ხანჯლით გავაგდებინებ ამის თავს დაუმატა მან. ზეცით მოვლენილი ბრძანება დაუყენებლივ და მტკიცედ იყო სისრულეში მოყვანილი: ოთხმოცდა თხუთმეტი მათრახი მოარტყეს თავად შამილს. დიდი და პატარა-ჩეჩნის მოციქულები ამ დროს იქვე ხალხში იდგნენ და ერთის შიშითა და კრძალვით მოელოდნენ სიკვდილით დასჯას.—ისენი მიუახლოვნენ შამილს და მის წინ პირქვე დაემხვნენ. შამილმა უბრძანა ამდგარიყვნენ და გამხნევებულიყვნენ. „დაბრუნდით უვნებელი თანა მემულეებთან და, მათი უმგზავსო თხოვნის პასუხათ, უამბეთ ის, რაც აქ თვენის თვალით ნახეთ და რისიც ოწამე იყავით.“

# ნარევი

**ტაროსის მაჩვენებელი (ბარომეტრიული) ყვავილები.** საფრანგეთში გამოუგონიათ ხელოვნური ყვავილები, რომლის ფოთლები თურმე ერთ გვარი ხიმიკური წამლებით არიან გაჟღენთილიო. თუ რომ კარგი ტაროსი უნდა იქნეს ეს ფოთლები მტრედისფრად ილებებიან, წვიმიანი ტაროსისათვის—წითლად და დაუდგრომელი ამინდისათვისაც მიხაკის ფერად.— ამ უკანასკნელ დროს ბერლინის შესანიშნავს ზოოლოგიურს ბაღში კონცერტი ყოფილა, რომელზედაც ძიელ ბევრი მაღალი საზოგადოების ქალებიც დასწრებიან. ბევრს ამ ქალებთაგანს ამ ხელოვნური ყვავილებით ჰქონდათ თურმე მოკაზმული შლიაპები.— თუმც ცა ძიელ მოღრუბლული იყო, მაგრამ ეს ყვავილები მტრედის ფერს მაინც არ იცვლიდნენ თურმე. შეიქნა გაცხარებული ნიზლავები—ვინ ამბობს წვიმა მოვა, ვინ ამბობს—არა.—ძიელ ბევრმა წაგო თურმე, რომ ნახეს, რომ ღრუბელი თუმც ძიელ ძირს ჩამოწვა, მაგრამ წვიმა მაინც ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა.—მეორე დღეს კი, თუმც დარი იყო, მაგრამ მაგაზინებში გამოფენილ ყვავილებმა წითელი ფერი მიიღესო და საშინელი წვიმაც მოვიდაო.—

*
* *

**შესანიშნავი თხა.** საფრანგეთის ერთს საზოგადოებათად განშიკედლებზე, ამასწინეთ, აკრეს მინისტრების, ფურტუსი და ბროჰლის დიდს ზომის ქაღალდზე დაბეჭდილი სიტყვები.— დიდი ხანი აკრული იყო ეს სიტყვები ასე, მაგრამ ერთს დილას გამვლელი ხალხი ხედავს, რომ ამ სიტყვებიან ქაღალდებიდამ კედლებზე ეგურ-ეგურ კიდევ დარჩენილა ნაკუწები.— შეინძრა, რასაკვირველია პოლიცია, ჟანდარმები; შეიქნა გამოძიება.—ვინ, გაბედა ამისთანა საქმე, ვინ აახია კედლებზე მინისტრების სიტყვები და სხვა. წარმოიდგინეთ გამომძიებლების გაკვირვება, როდესაც შეიტყვეს, რომ ეს მინისტრების სიტყვები, იმ საზოგადოების თხებს შეუჭამია.

საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთები, ამ ამბის შესახებ დაცინვით ამბობენ, რომ საფრანგეთის ეხლანდელი მინისტრების, ფურტუსა და ბროჰლის სიტყვები იმდენათ შესანიშნავნი იყვნენო, რომ, მეტის-მეტის ალტაცებით, თხებსაც აღარ გადაურჩათ „გადუყლაპავიო".—

*
* *

**ქურდი ომის ველზე.** რიონის ატრიადში მყოფი ერთი ნაცნობისაგან მოგვივიდა წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი ამბავია: ბევრს გვარს ჩვენს შერცხვენას ერთი შერცხვენაც კიდევ მოემატა: თ. ნ. ჵ-ის ქართული დრუჟინის ხაზინადარს ხაზინა გაუტეხეს და რვა ათასი მანეთი, გარდა სახელმწიფო სარგებლიანი ბილეთებისა, მოჰპარეს. ქურდი, როგორც აღმოჩნდა, ვიღაც იმერელი მილიციონერი გამომდგარა, რომელიც გარდასულა კიდეც ოსმალებისაკენ.—

# განცხადებანი

**დაიბეჭდა და გამოვიდა სტამბიდამ**

**ლექსი**

**თ. ი. ზ ჩოლაყაშვილის**

**გარდაცვალებაზედ**

**თავის სურათით**

**თქმული**

**დავით ბივიშვილისაგან**

**ისყიდება** სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

**ფასი** ყველგან ორი შაური.

---

**ჰსურსთ აიყვანონ ყმაწვილები**, რომელნიც უნდა იყვნენ სასწავლებელი დაბალი კლასებისთვის მოსამზადებლად: **აგრეთვე** შეუძლიათ აასრულონ **კანტორჩიკობა**, როგორაც იყოს კანტორა, **მამულის გაგეობა.** იკითხეთ ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში, დიდი პოლიციის ქვეშ.

---

მიიცემა **ქირით სახლები** პოლკოვნიკის იერუსალიმსკისა, ვერაზე, ყოველის კუთვნილებით. სულ ოთხი ფლიგელია, ოლგის ქუჩაზე, ექვს ოთახიანი; დანარჩენი სამი იქვე ეზოში; თითოეულ ამ ფლიგელში სამ-სამი ოთახია.

---

# ქილილა და მანა,

თარგმნილი სპარსულიდამ ქართულ ენაზედ მეფე **ვახტანგისაგან** და გალექსილი **საბა სულხან ორბელიანისაგან.** სრულად არის დაწერილი და ყდაში ჩასმული. ფასის გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

---

# „კახეთი"

სარძეო სარდაფს „**კახეთში**", ყოველ დღე ისყიდება: **კარაქი, ნაღები, მეტანა, ტვოროგი, ყველი, უდუღარი და ადუღებული რძე და მაწონი.**—

ამ ზაფხულს მსურველთ კოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩნიკებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „**კახეთი**" იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.

---

სრული კანონი ვახტანგ მეფისა, გიორგი მეფისა, კათალიკოზისა, ალბუღასიბერძნული, სომხური და ურიული (მოსესი). ლურჯ ქაღალდზე დაწერილი, სუფთათ, და ყდაში არის შეკრული.

**ფასის** გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

---

**პრისიაჟნის პოვერენი**

**რიმსკი-კორსაკოვი**

**ასრულებს საქმეების წარმოებას, არზების დაწერას და აძლევს დარიგებასა.**

სალდათის ბაზარი, ლიუტერანთ საყდრის სახლი.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 2 აგვისტოს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 262 სანტიმი. | — | 81 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 207 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 207 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის (5½ | 83 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 90 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 465 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 203 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 735 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 4 აგვისტოს | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 20 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | — |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | 80 |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 20 |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 6 | 20 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 54 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 54 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 12 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 80 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 7 | 50 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 25 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 9 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | 97 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Августа 1877 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.